ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №841860

ნომერი: AR1150442

თარიღი : 31.07.2013

გაცემის თარიღი : 12.08.2013

გაცნობის თარიღი : 13.08.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 89/24 , ნაკვ.06/054 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქართლოს მაისურაძე პ/ნ 01021006049
- თბილისი ო.თუმანიანის შეს. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N31, 06.08.13 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ.
N89/24–ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრების მოწყობის საკითხს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: "სარეკლამო წარწერა განთავსდეს ხის პანელზე, შესაძლებელია მოცულობითი ასოებით".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს დასკვნა და გადაწყვიტა, რომ განმცხადებელს, მოქ. ქ. მაისურაძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ქ. მაისურაძეს, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24–ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრების წარმოდგენილი ვარიანტის მოწყობის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.